ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032229420-03
თარიღი: 21.10.2022 13:53
ვადა: 21.11.2022

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-0122294712 განცხადების თარიღი: 21.10.2022
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N 1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032229420-03
21.10.2022 : 13:53
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-0122294712**
თარიღი: **21/10/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

ამასთან, წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნული პროექტის მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 20 ოქტომბრის №22.1616.1758 განკარგულებას.

დანართი: 6 ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 22.1616.1758
20 / ოქტომბერი / 2022 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტები

რიგითი №	**მარშრუტების დისლოკაციის ადგილები**	**მარშრუტების სქემები**
1	სახ. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი	ცოტნე დადიანის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ვახტანგ გორგასალის ქ. - დიმიტრი გულიას მოედანი - გია გულუას ქ. - მარჯვენა სანაპირო - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - გმირთა მოედანი - კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი - გიორგი სააკაძის მოედანი - ჟიული შარტავას ქ. - ანა კალანდაძის ქ. - პეკინის გამზირი - ვაჟა ფშაველას გამზირი - პეტრე ქავთარაძის ქ. - უნივერსიტეტის ქ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი. **უკუმიმართულება:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი - უნივერსიტეტის ქ. - პეტრე ქავთარაძის ქ. - ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი - პეკინის გამზირი - კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი - გმირთა მოედანი - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - ვახტანგ გორგასალის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ცოტნე დადიანის ქ.
2	მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელი)	ცოტნე დადიანის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ვახტანგ გორგასალის ქ. - დიმიტრი გულიას მოედანი - გია გულუას ქ. - მარჯვენა სანაპირო - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - გმირთა მოედანი - თამარ მეფის გამზირი - მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ. - აკაკი წერეთლის გამზირი - მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელის მიმდებარედ) **უკუმიმართულება:** მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელის მიმდებარედ) - წერეთლის გამზირი - გოგი ცაბაძის ქ. - დავით აღმაშენებლის გამზირი - თამარ მეფის გამზირი - გმირთა მოედანი - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - ვახტანგ გორგასალის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ცოტნე დადიანის ქ.

3	მ/ს "დიდუბე" (ზედა გასასვლელი) (თორნიკე ერისთავის ქ. #1)	ცოტნე დადიანის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ვახტანგ გორგასალის ქ. - დიმიტრი გულიას მოედანი - გია გულუას ქ. - მარჯვენა სანაპირო - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - გმირთა მოედანი - კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი - გიორგი სააკაძის მოედანი - გიორგი სააკაძის დაღმართი - ვახუშტი ბაგრატიონის ხიდი - ვახუშტი ბაგრატიონის ქ. - დავით ყიფიანის ქ. - გოგი ცაბაძის ქ. - აკაკი წერეთლის გამზირი - თორნიკე ერისთავის ქ. №1 (მ/ს "დიდუბე" (ზედა გასასვლელი) **უკუმიმართულება:** თორნიკე ერისთავის ქ. №1 (მ/ს "დიდუბე" (ზედა გასასვლელი) - აკაკი წერეთლის გამზირი - გოგი ცაბაძის ქ. - დავით ყიფიანის ქ. - ქუთაისის ქ. - ვახუშტი ბაგრატიონის ხიდი - გიორგი სააკაძის დაღმართი - გიორგი სააკაძის მოედანი - ვახტანგ ჭაბუკიანის ქ. - პეკინის გამზირი - კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი - გმირთა მოედანი - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - ვახტანგ გორგასალის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ცოტნე დადიანის ქ.
4	სადგურის მოედანი („თბილისი ცენტრალი"-ს პირდაპირ)	ცოტნე დადიანის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ვახტანგ გორგასალის ქ. - დიმიტრი გულიას მოედანი - გია გულუას ქ. - მარჯვენა სანაპირო - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - გმირთა მოედანი - თამარ მეფის გამზირი - სადგურის მოედანი („თბილისი ცენტრალის" პირველი და მეორე სართულის მიმდებარე ტერიტორია) **უკუმიმართულება:** სადგურის მოედანი („თბილისი ცენტრალის" პირველი და მეორე სართულის მიმდებარე ტერიტორია) - სადგურის მოედანი (ჩამოსვლა „თბილისი ცენტრალის" მეორე სართულის მიმდებარე ტერიტორიიდან პანდუსის გავლით ან გამოსვლა „თბილისი ცენტრალის" პირველი სართულის მიმდებარე ტერიტორიიდან, სადგურის მოედანი №3/32 -ის მიმდებარე ტერიტორიიდან მოძრაობა თამარ მეფის გამზირის მიმართულებით) - თამარ მეფის გამზირი - გმირთა მოედანი - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - ვახტანგ გორგასალის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ცოტნე დადიანის ქ.

5	„ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი” -ს მიმდებარე ტერიტორია	ცოტნე დადიანის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ვახტანგ გორგასალის ქ. - დიმიტრი გულიას მოედანი - გია გულუას ქ. -300 არაგველის ხიდი - ნოე ჟორდანიას სანაპირო - იალბუზის ქ. - ბოჭორმის ქ. - ლეხ კაჩინსკის ქ. - ქეთევან დედოფლის გამზირი - მოსკოვის გამზირი - ჯავახეთის ქ. - კუპრაძის ქ. - „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისის“ მიმდებარე ტერიტორია (ვარკეთილის IV მ/რაიონი) **უკუმიმართულება:** „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისის“ მიმდებარე ტერიტორია (ვარკეთილის IV მ/რაიონი) - კუპრაძის ქ. - ჯავახეთის ქ. - მოსკოვის გამზირი - ქეთევან დედოფლის გამზირი - ნავთლუღის ქ. - რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. - დიმიტრი გულიას ქ. - დიმიტრი გულიას მოედანი - ვახტანგ გორგასალის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ცოტნე დადიანის ქ.
6	ლილოს ბაზრობა	კახეთის გზატკეცილი (შემოსვლა ლოჭინის ხიდების მხრიდან) - ლილო მოლი (მიმდებარედ) **უკუმიმართულება:** ლილო მოლი (მიმდებარედ) - კახეთის გზატკეცილი (გასვლა ლოჭინის ხიდების მხრიდან)
7	მოსკოვის გამზირი №2	სადგური "ველი" - გარდაბნის გზატკეცილი - ქინძმარაულის ქ. - მოსკოვის გამზირი - მოსკოვის გამზირი №2 (ავტოსადგური) **უკუმიმართულება:** მოსკოვის გამზირი №2 (ავტოსადგური) - ქინძმარაულის ქ. - გარდაბნის გზატკეცილი - სადგურ "ველი"
8	ხიზანიშვილისა და ვასაძის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ	ცოტნე დადიანის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ვახტანგ გორგასალის ქ. - დიმიტრი გულიას მოედანი - გია გულუას ქ. - მარჯვენა სანაპირო - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - გმირთა მოედანი - თამარ მეფის გამზირი - გენერალ კვინიტაძის ქ. - კოსმონავტების სანაპირო - ვახუშტი ბაგრატიონის ქ. - აკაკი წერეთლის გამზირი - მ/ს "დიდუბე" - ნონა გაფრინდაშვილის ქ. - ფეიქრების ქ. - თენგიზ შეშელიძის ქ. - ილია ვეკუას ქ. (გლდანის I-II მ/რ, გლდანის "ა" მ/რ.) - ხიზანიშვილისა და ვასაძის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ. **უკუმიმართულება:** ომარ ხიზანიშვილისა და აკაკი ვასაძის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ - თენგიზ შეშელიძის ქ. - ფეიქრების ქ. - ნონა გაფრინდაშვილის ქ. - შოთა შალიკაშვილის ხიდი - აკაკი ბაქრაძის ქ. - გრიგოლ რობაქიძის გამზირი - შოთა შალიკაშვილის ხიდი - მ/ს "დიდუბე" - აკაკი წერეთლის გამზირი - ქუთაისის ქ. - ვახუშტი ბაგრატიონის ხიდი - გიორგი სააკაძის დაღმართი - გიორგი სააკაძის მოედანი - ვახტანგ ჭაბუკიანის ქ. - პეკინის გამზირი - კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი - გმირთა მოედანი - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - ვახტანგ გორგასალის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ცოტნე დადიანის ქ.

9	მიროტაძის ქ. №6-8-ის მიმდებარედ ("მორკინალის" მიმდებარედ)	ცოტნე დადიანის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ვახტანგ გორგასალის ქ. - დიმიტრი გულიას მოედანი - გია გულუას ქ. - მარჯვენა სანაპირო - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - გმირთა მოედანი - კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი - გიორგი მიროტაძის ქ. (№6-8-ის მიმდებარედ) **უკუმიმართულება:** გიორგი მიროტაძის ქ. (№6-8-ის მიმდებარედ) - კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი -გიორგი სააკაძის მოედანი - ვახტანგ ჭაბუკიანის ქ. - პეკინის გამზირი - კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი - გმირთა მოედანი - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - ვახტანგ გორგასალის ქ. - რუსთავის გზატკეცილი- ცოტნე დადიანის ქ.
10	"ისთ ფოინთის" მიმდებარე ტერიტორია (კახეთის გზატკეცილი)	კახეთის გზატკეცილი (შემოსვლა ლოჭინის ხიდების მხრიდან) - "ისთ ფოინთის" მიმდებარე ტერიტორია (კახეთის გზატკეცილი). **უკუმიმართულება:** "ისთ ფოინთის" მიმდებარე ტერიტორია (კახეთის გზატკეცილი) - კახეთის გზატკეცილი (გასვლა ლოჭინის ხიდების მხრიდან).

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2022 წლის --- ---------- **ქ. თბილისი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 25/01/2017, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016361) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტებით განხორციელებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქუჩების სახელდებებში ცვლილებები: მერაბ კოსტავას ქუჩას გმირთა მოედნიდან გიორგი სააკაძის მოედნამდე ეწოდა კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი, ხოლო მარჯვენა სანაპიროს ნაწილს - ზვიად გამსახურდიას სანაპირო და სხვა.

ამავე დროს, საქართველოს დედაქალაქის ქუჩებსა და გამზირებზე სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობისთვის, მიზანშეწონილია საერთო ნაკადის თანმხვედრი ან საპირისპირო მიმართულებით სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლებში (ე.წ. BUS LINE) ავტობუსების გადაადგილების ოპტიმიზაციის განხორციელება და პრიორიტეტად იქნეს მიჩნეული ზემოაღნიშნულ ზოლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსების გადაადგილება, ხოლო რუსთავი-თბილისის მარშრუტის M_2 კატეგორიის ავტობუსებმა საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მარშრუტებზე გადაადგილება განახორციელონ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლის გამოყენების გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი სახსრების გათვალისწინება.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.